1 სექტემბერი

სამშაბათი
2026

რიგითი XXII კვირა [II], მწ

1კორ 2,10-16; ფს 144; ლკ 4,31-37

ქმნილების დღე

იესომ უბრძანა მას: "გამოდი მისგან!" ლკ 4,35

ბრძანება არ ეძლევა ადამიანს, რომელიც გმობს იესოს, არამედ სულს, რომელიც ფლობს მას და აიძულებს ასე ლაპარაკს. ადამიანი არ არის შექმნილი იმისთვის, რომ იყოს მგმობელი სულის საცხოვრისი. ადამიანის პირი უნდა გამოხატავდეს ღმერთის ქებას და კურთხევას ყველასთვის. იესოს, და მხოლოდ მას, შეუძლია გაათავისუფლოს და განკურნოს გულები და გონებები, გაფუჭებული იმ სულის მიერ.

1კორ 3,1-9; ფს 32; ლკ 4,38-44

ჩვენ ღმერთის თანამშრომლები ვართ 1კორ 3,9

რა სიხარულია მოციქულისთვის ამის თქმის შესაძლებლობა! ღმერთის თანამშრომლად ყოფნა ნიშნავს იგივე ღვთაებრივი ცხოვრებით ცხოვრებას, მისი სიყვარულის დარიგებას ჩვენი გონებით, ჩვენი სიტყვებითა და ხელებით. მაგრამ ეს ასევე ნიშნავს, რომ ნამდვილი მთავარი პერსონაჟი არ ვართ ჩვენ, არამედ იგი. ის არის მადლობისა და ქების ღირსი. ჩვენ კი ვართ მხოლოდ ღარიბი და სუსტი დამხმარენი.

3 სექტემბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXII კვირა [II]

წმ. გრიგოლ დიდი, პაპი, ეკლესიის მოძღვარი, +604 (12 მარტს) რომში, (მ), თ;

(21.VIII) წმ. სარმეან კათ., +779; / წმ. ღ. თადეოზ (თათე) სტეფანწმიდელი, მონაზ., VIს

1კორ 3,18-23; ფს 23; ლკ 5,1-11

თქვენ ქრისტესი ხართ და ქრისტე ღმერთისაა 1კორ 3,23

მოციქულ პავლეს სურს ხელი ააღებინოს ქრისტიანებს, ჩაებღაუჭნონ მას ან სხვა მოციქულს. იესო არის ის, ვინც იხსნის მათ, იესო ჯვარს ეცვა მათთვის და მათთვის აღდგა. ვაი თუ დატოვებენ იესო მეორე პლანზე და ჩაეჭიდნონ ადამიანს, რომელმაც მათ სახარება მიაწოდა. მთელი სიყვარული უნდა მიმართონ იესოსკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთის წმიდა ეკლესიის გაყოფის საფრთხე დგება.

4 სექტემბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXII კვირა [II], მწ

1კორ 4,1-5; ფს 36; ლკ 5,33-39

ახალი ღვინო ახალ ტიკბში ლკ 5,38

"მე ვხდი ყველაფერს ახალს" იტყვის იესო. და შეუძლია ამის გაკეთება, რადგან ის ახალია, მთლიანად ახალი. არასოდეს არავის უნახავს ვინმე მისი მსგავსი. მასთან ყოფნა სიახლეა, და ამიტომ საჭირო იქნება ჩვეულებების მიღება, რომლებსაც არასოდეს გამოვიყენებ-დით. შენ მოგვცემ შენს სულს, უფალო იესო, რომ შემოგვთავაზო ახალი გზები ყოფნისა და მოქმედებისა, რომლებიც შენ ადგილს მოგცემენ ამ მუდამ ძველ წუთისოფელში.

5 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2026

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

რიგითი XXII კვირა [II], მწ

წმ. დედა ტერეზა კალკუტელი, მოწყალების მისიონერ დედათა კონგრეგაციის დამაარ-სებელი +1997 კალკუტაში (ინდოეთი)

1კორ 4,6-15; ფს 144; ლკ 6,1-5

დ. ტერეზას დების კონგრეგაციის დღესასწაული

კაცის ძე არის უფალი შაბათისა ლკ 6,5

შაბათი არის ღმერთის სიხარულის დღე, რომელმაც ამ დღეს დაასრულა თავისი საქმე ადამიანის შექმნით. დაბადებული სამყარო ამზადებდა გარემოს ადამიანისთვის, და ღმერთის დასვენებაც ემსახურება ადამიანს, რომელიც რჩება მამის ყურადღების ცენტრში. მისი ძე მართავს ამ დღესაც: ვკითხავთ მას როგორ ვიცხოვროთ ის, რა სიხარულებით ავსოთ.

6 სექტემბერი

კვირა 2026

რიგითი XXIII კვირადღე, «ა», [III], მწ

ეზეკ 33,1.7-9; ფს 94; რომ 13,8-10; მთ 18,15-20

თუ ორი თქვენგანი შეთანხმებით დედამიწაზე
ნებისმიერი რაის სთხოვენ ლ... მთ 18,19

შენი მოწაფეები ძვირფასნი არიან შენს
თვალში, იესო. შენ მათი ერთობა გსურს შენს
სიყვარულში, რომ ჩანდეს რომ ცხოვრობენ
როგორც შენ ცხოვრობ მამასთან, გაერთი-
ანებულნი წმიდა სულის მიერ. ამიტომ, წა-
რდგებიან მის წინაშე ერთად, თანხმობაში,
ერთსულოვნად. შენ ვერ შეისმენდი ორ
შეუთანხმებელ ხმას, და არც ამაყ ხმას!

7 სექტემბერი

ორშაბათი
2026

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

1კორ 5,1-8; ფს 5; ლკ 6,6-11

მოაშორეთ ძველი საფუარი 1კორ 5,7

წმიდა პავლე მკაცრად გმობს გარყვნილ ქცევას, რომელიც არსებობს კორინთოს თემში. ვინც გადაწყვეტს იესოს მიყოლას, დაუშვებს მას შეცვალოს სურვილები. ესენი არიან როგორც საფუარი, რომელიც ცვლის მთელ ცომს. არ არის ქრისტიანებისთვის სენსუალური სურვილები, თუნდაც ისინი გამართლებული იყოს სიტყვა სიყვარულით. ვინც მათ დააკმაყოფილებს, დაშორდება თემს: ეს არის ცოდვა, დაბრკოლება წარმართებისთვის ირწმუნონ იესო.

8 სექტემბერი

სამშაბათი
2026

შობა ნეტარი მარადქალწული
მარიამისა დ, [ს], თ

მიქ 5,1-4a ან, რომ 8,28-30; ფს 12; მთ 1,1-16.18-23

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა;
ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

ძასძი იასაწი ბავეი სოიეიმიდისგანაა მთ 1,20

მარიამის შობის დღესასწაულშიც ჩვენი აზრი მიდის იესოსკენ. სინამდვილეში იგი სამყაროში მოვიდა მისთვის, რომ მოგვცეს ის ჩვენ. თავად ის ხდის მას ლამაზს, მნიშვნელოვანს, ღმერთის საცხოვრისს. მის შესახებ ესაუბრება ანგელოზი ძილში იოსებსაც: იგი იქნება მისი ცოლი ძის წყალობით. ყოველივე ამის გამო მისი დაბადება გვახარებს!

9 სექტემბერი

ოთხშაბათი
2026

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

წმ. პეტრე კლავერი, ხუცესი, ესპანელი იეზუიტი, შავკანიან მონათა მოციქული, +1654 კოლუმბიის კართაგენში

1კორ 7,25-31; ფს 44; ლკ 6,20-26

ნეტარ ხართ თქვენ, ღარიბნო. ლკ 6,20

ადამიანთა უმეტესობა ღარიბია და სიღარიბეში იტანჯება. ღმერთის თვალში ისინი ძვირფასნი არიან: სინამდვილეში ისინი არიან ის, ვინც უფრო ადვილად შედის ზეციურ სასუფეველში. ისინი უფრო მზად არიან სხვებთან შედარებით მიიღონ იესო, მას ენდნონ და გაჰყვნენ.

(28.VIII) წმ. შუშანიკი, მოწამე, +475, (მ), წ

1კორ 8,1-7.11-13; ფს 138; ლკ 6,27-38

ᲠᲣᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ, ᲛᲐᲛᲐ 1კორ 8,6

ბევრი კერპი იკავებს ადამიანთა გულს. თითოეული მათგანი გვთავაზობს და ამა-რთლებს ცოდვას, და ყოველი ცოდვა იწვევს ტანჯვას მისთვის, ვინც მას სჩადის და ვინც მის გვერდით დგას. ჩვენ ჩვენ ღმერთად მხოლოდ მამას მივიჩნევთ, რომელიც იესომ გაგვაცნო. მას ვუყვარვართ, და მისი წყალო-ბით გვიყვარს და ვაქცევთ სამყაროს ძმურ ადგილად.

11 სექტემბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

1კორ 9,16-19.22-27; ფს 83; ლკ 6,39-42

მოსწავლე არ არის მასწავლებელზე მეტი ლკ 6,40

ვინმემ რომ მოისურვოს იესოს ასწავლოს, რა მოხდებოდა? მას იგი უნდა განეგდო, როგორც განაგდო სატანა ცდუნებისას. იესო, სინამდვილეში, არ იქნა მოვლენილი მამის მიერ ადამიანებისგან სასწავლებლად: მხოლოდ ის იცნობს მამას და მის ნებას.

12 სექტემბერი

შაბათი

2026

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

მარიამის წმიდა სახელი

1კორ 10,14-22; ფს 115; ლკ 6,43-49

ჩვენ, თუმცა ბევრი, ერთი სხეული ვართ 1კორ 10,17

წმიდა პავლე ამბობს ამას, როცა საუბრობს მათზე, ვინც ჭამს ევქარისტიულ პურს. ერთი პურია, რომელსაც ვჭამთ, კურთხევის პური, და ამიტომ ვხდებით ერთი სხეული, ქრისტეს სხეული. დიდი საიდუმლო, რწმენის საიდუმლო, რომელიც ხდება სიყვარულის საიდუმლო. ეს პური გვხდის ძმებად და გვაერთიანებს, წმიდად გვაერთიანებს!

13 სექტემბერი

კვირა
2026

რიგითი XXIV კვირადღე, «ა», [IV], მწ

წმ. იოანე ოქროპირი, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +407, (მ), თ

ზირ 27,30 - 28,7; ფს 102; რომ 14,7-9; მთ 18,21-35

ასე მოგექცევათ თქვენ ძაძა ჩემი...
თუ გულით არ მიუტევებთ მთ 18,35

იესო ასრულებს იგავის თხრობას. მისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი ხსნა, ხსნა ბოროტებისგან, რომელიც ყოველთვის ემუქრება გულს. თუ მასში არ არის იგივე სიყვარული, რაც ღმერთს აქვს ჩვენდამი, ჩვენ ვიტანჯებით, რადგან ვკარგავთ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს. ამ მიზეზით პატიება არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

14 სექტემბერი

ორშაბათი
2026

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

რიცხ 21,4-9 ან, ფილიპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

ყველას, ვისაც სურს იგი, აქვს საუკუნო სიცოცხლე იო 3,15

იესო ჯვარზეა, რომ მიიპყროს ჩვენი მზერა, მზერა არა მხოლოდ თანაგრძნობის, არამედ სურვილის, გვქონდეს იგივე სიყვარული, რომლითაც ის საკუთარ თავს სწირავს მამას. ჯვარცმული იესოსკენ მიზიდულობა არის საუკუნო სიცოცხლე, ანუ ღვთაებრივი: არის ცხოვრება იგივე სიყვარულით, რაც სიცო-ცხლის ღმერთს აქვს!

15 სექტემბერი

სამშაბათი
2026

რიგითი XXIV კვირა [IV]

მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი (მ), [ს], თ

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მისი სული მინდობის გამო, შესმენილ იქნა ებრ 5,7

დღევანდელი ლიტურგია თან ახლავს გუშინდელ დღესასწაულს. ჯვრის ქვეშ ფეხზე დგას დედა მარიამი. იგი მონაწილეობს ძღვენში, რომელსაც ძე სწირავს მამას სრულად მასზე მინდობით. და ასე ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ მასში საუკუნო სიცოცხლე, სრულყოფილი სიყვარული, ღვთაებრივი. იგი მას იღებს, ის კი მას აძლევს, და ამგვარად მისი უღრმესი და წმიდა სურვილებიც შესმენილია.

16 ოთხშაბათი 2026

სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმ. კორნელიუსი, პაპი, წამებული +253 ჩივიტავეკიაში, და წმ. კვიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი, წამებული, +258, (მ), წ

1კორ 12,31 - 13,13; ფს 32; ლკ 7,31-35

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

1კორ 13,8

ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენთ იმ გვერდს, რომელსაც დღეს წმიდა პავლე გვთავაზობს. სიყვარული! ეს არის სიყვარული, რომლითაც ღმერთი გვიყვარს და რომლითაც ის გვავსებს, რომ ჩვენც გვიყვარდეს მისივე სიხარულით. ნამდვილ სიყვარულს არ აქვს დასასრული: არაფერი აჩერებს მას, არც ბოროტება, არც შური, არც სხვების რისხვა. არ წყვეტს სიკვდილითაც: თან მოგვყვება, როცა მამის გულში ვიქნებით.

17 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV], მწ

ხუთშაბათი
2026

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპისკოპოსი და კარდინალი, იეზუიტი, ეკლესიის მოძღვარი, +1621 რომში

წმ. ჰილდეგარდა ბინგენელი, ქალწული და ეკლესიის მოძღვარი, +1179

1კორ 15,1-11; ფს 117; ლკ 7,36-50

ქალ კი ფესვებზე ცრემლებით სურნელოვანი ზეთი ლკ 7,46

იესოს სურს დაეხმაროს ფარისეველს სწორად შეხედოს და იფიქროს. ქალმა, რომელმაც სურნელოვანი ზეთი ასხურა მის ფეხებს, განახორციელა კონკრეტული სიყვარულის ქმედებები ღმერთის ძისადმი. იყო ცოდვილი? ახლა აღარ არის, რადგან მის გულში ცხოვრობს ღმერთის სიყვარული. მას კი, მიუხედავად იმისა რომ ფარისეველი იყო, შესძლებია მხოლოდ განსჯა და გმობა. მის გულში მხოლოდ სიბნელეა.

18 სექტემბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXIV კვირა [IV], მწ

1კორ 15,12-20; ფს 16; ლკ 8,1-3

ახლა, ქრისტე აღდგა მკვდრეთით 1კორ 15,20

ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც ცვლის ცხოვრებას და ცვლის ისტორიას. იესოს აღდგომა მკვდრეთით არის დაპირება და გარანტია ახალი სიცოცხლისა, რომელიც არსებობს დედამიწაზე. ეს არის ახალი კარი, გახსნილი ჩვენთვის. აღარ ვართ სიკვდილის კოშმარის ქვეშ, რადგან ვხედავთ, მის წინ და მის შემდეგ, ახალ სინათლეს. სამყაროს მმართველები აღარ არიან ჩვენი ცხოვრების ბატონები.

19 სექტემბერი

შაბათი

2026

რიგითი XXIV კვირა [IV], მწ

წმ. იანუარიუსი, ბენევენტოს ეპისკოპოსი, წამებული, +304

1კორ 15,35-37.42-49; ფს 55; ლკ 8,4-15

თქვენ დიახ, სხვებს ჯერ არა. ვის შეუძლია მათი გაგება? იესოს მოწაფეებს. იმის გამო რომ უყვართ და მიჰყვებიან მას, უკვე შედიან ღმერთის სასუფეველში, და ამიტომ განიც-დიან მას. ვინც არ დგამს ნაბიჯებს რომ იყოს მასთან, ვერც კი წარმოიდგენს ამას.

სექტემბერი

რიგითი XXV კვირადღე, «ა», [I], მწ

[წმ. ანდრეა კიმ ტაე-გონი, ხუცესი, წმ. პავლე ჩონგ ჰა-სანგი და მათი მეგობრები, კორეაში წამებულნი +1839-1864წწ, (მ), წ]

ეს 55,6-9; ფს 144; ფილ 1,20-24.27; მთ 20,1-16

რაც სძართიანია, მოგაქვთ მთ 20,4

საოცარი იგავი! ღმერთი იყენებს ყველა ადამიანს, და ყველას აძლევს, არა იმის მიხედვით რაც მათ გააკეთეს, არამედ იმის მიხედვით რომ დაემორჩილნენ და გახდნენ მისი თანამშრომლები. თითოეულს აძლევს მაქსიმუმს: ნაკლებს ვერ მისცემს. მისი ძღვენი არასოდეს იქნება შემცირებული.

21 სექტემბერი

ორშაბათი
2026

წმ. მათე, მოციქული და მახარებელი , დ, [ს], წ

ეფეს 4,1-7.11-13; ფს 18; მთ 9,9-13

ქო-ქუჯი მთ 9,9

ეს სიტყვა, "მომყევი", ადრეც გსმენია და გაისმის შენში. ბევრჯერ გიცდია მისი შესრულება, და ყოველ ჯერზე გაიგე რომ მხოლოდ დაიწყე, მაგრამ ასევე მიიღე მეტი, ვიდრე წარმოიდგენდი. დღესაც გადადგამ კიდევ ერთ ნაბიჯს იესოს კვალში, წმიდა მათესთან ერთად. და ეს მოწაფე მიგიწვევს მასთან ერთად სუფრას მიუჯდე, იესოს გვერდით.

22 სექტემბერი

იგავ 21,1-6.10-13; ფს 118; ლკ 8,19-21

გულმძიმეობა, არის უფალი იგავ 21,2

მშვენიერია იმის ცოდნა, რომ ჩვენი გული
უფლის მზერის ქვეშაა! ეს არის ნუგეში
და უსაფრთხოება. არ ვღელავ იმაზე, რას
იფიქრებენ სხვები ჩემზე: მათი განსჯა, იქნება
ეს ცუდი თუ კარგი, არ არის არც საბოლოო
და არც მნიშვნელოვანი. არც დავეცემი და
არც ვიყოყლოჩინებ. მხედავს იესო, რომელ-
საც ვუყვარვარ.

23 სექტემბერი

ოთხშაბათი
2026

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. პიო პიეტრელჩინელი, ხუცესი, კაპუცინი, +1968, (მ), თ

იგავ 30,5-9; ფს 118; ლკ 9,1-6

მისკ მათ ძალ ჰ სელმწიფება უფლა აგ სუფე ლკ 9,1

ვიქნები ახლოს იმასთან, ვისაც აქვს მოციქულთა ავტორიტეტი. თუ ცდუნება მეწვევა ან თუ მოწინააღმდეგე შემაწუხებს, დახმარებას ვპოვებ. აუწყებენ ღმერთის სასუფეველს და, რაც უფრო ღარიბები არიან, მით მეტ სიმტკიცეს მაძლევენ. არ ვითხოვ მათგან მატერიალურ საგნებს, რადგან იესომ გაგზავნა ისინი ფულისა და ბარგის გარეშე. დამიცავენ და მომცემენ გამბედაობასა და სინათლეს.

24 სექტემბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXV კვირა [I], მწ

ეკლ 1,2-11; ფს 89; ლკ 9,7-9

ეს კი ვინ არის? ჰ ცდილობ მის ნახვას ლკ 9,9

ჰეროდეს სურდა იესოს ნახვა, მაგრამ არ გადაუდგამს ნაბიჯი ამ სურვილის განსახორციელებლად. იესომ, ამიტომ, არ დააკმაყოფილა იგი, როგორც მაგალითად უპასუხა ზაქეს სურვილს: ამ უკანასკნელმა იმოქმედა და რისკზეც წავიდა. უფლისაგან რომ მოველი რამეს, ეს ჩანს მაშინ, როცა ვმოქმედებ მისთვის.

25 სექტემბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXV კვირა [I], მწ

ეკლ 3,1-11; ფს 143; ლკ 9,18-22

პეტრემ უპასუხა: "ღმერთის ქრისტე" ლკ 9,20

პეტრე დარწმუნებულია: იესო კურთხეულია მამა ღმერთის მიერ. მართლაც, ბევრჯერ შეესწრო ღვთაებრივ საქმეებს, რომლებიც მან მოახდინა. პეტრემ იცის ვინ არის იესო, მაგრამ ჯერ არ იცის მისი მისია და არც გზა, რომელსაც გაივლის, ვნებისა და სიკვდილის გზა ადამიანების ხელით, რომლებსაც მან სიკეთე გაუკეთა. არც იცის, რომ ღმერთი, შემდეგ, აღადგენს მას.

26 სექტემბერი

შაბათი
2026

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ) წ;
წმმ. კოზმა და დამიანე, წამებულნი, +IVს;

ეკლ 11,9 - 12,8; ფს 89; ლკ 9,43-45

აღფრთოვანებული იყვნენ ძალით, რაც აკეთებდ ლკ 9,43

დიახ, ერთი საოცრება მეორეს მიყოლებით. მაგრამ ის, იესო, ფიქრობს თავის გზაზე, და ამბობს: უნდა იყოს უარყოფილი ადამიანების მიერ. ზოგადი აღფრთოვანება ამაოა. მას ელის ვნება და სიკვდილი: ეს დაწერეს წინასწარმეტყველებმა, რომლებიც არ ცდებიან. ყველაფერი აღსრულდება. ეს არის ხსნის გზა ადამიანებისთვის, ცოდვილებისა და ზედაპირულებისთვის.

27 სექტემბერი

27 კვირა 2026

რიგითი XXVI კვირადღე, «ა», [II], მწ

[წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუცესი, მისიის მღვდელთა (ლაზარისტების) დამაარსებელი, +1660 პარიზში, (მ), თ]

ეზეკ 18,25-28; ფს 24; ფილიპ 2,1-11; მთ 21,28-32

შვილო, დღეს ჩადი ბ ვენახში მთ 21,28

ეს იგავი გვეხმარება იმის წასაკითხვაში, რაც ხდება. ორი ძე არიან ებრაელი ხალხი და წარმართი ხალხები. პირველი სიტყვით მზადაა, მაგრამ არ იძვრის. მეორე, წარმართები, არაფერს პირდებიან, მაგრამ ასრულებენ მამის ნებას: როგორც კეთილი სამარიელი მიიღებენ იესოს, ჩავარდნილს ადამიანთა ხელებში.

28 სექტემბერი

ორშაბათი
2026

რიგითი XXVI კვირა [II] მწ

(15.IX) წმ. აბბა იოსებ ალავერდელი, აბატი და ეპ., +570; / წმ. ვიჩესლავი, ბოჰემიის დუკა, წამებული, +929 ან 935; / წმმ. ლავრენტი რუის და მისი მეგობრები, წამებულნი ნაგასაკიში (იაპონია), +1633–1637წწ

იობ 1,6-22; ფს 16; ლკ 9,46-50

კურთხეულ იყოს უფლის სახელი! იობ 1,21

ეს კურთხევის ძახილი იობის პასუხია იმაზე, რაც მოხდა. სატანამ აიშვა მის წინააღმდეგ, და იგი დარჩა მსახურების, პირუტყვის, შვილების გარეშე, გაღატაკებული და დაწყლულვილი. იგი ამბობს: "უფალმა მოგვცა, უფალმა წაგვართვა, კურთხეული იყოს უფლის სახელი!". ეს პასუხი არის გაკვეთილი წმიდანებისთვის. ყველა ჩვენგანისთვისაც.

29 სექტემბერი

სამშაბათი
2026

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ
მთავარანგელოზნი, დ, [ს], თ

(16.IX) წმ. ისააკი და იოსები,
კარნუ-ქალაქში წამებულნი, +808

დან 7,9-10.13-14 ან, გამოცხ 12,7-12; ფს 137; იო 1,47-51

იხილავთ გაცისნილს ცას იო 1,51

მიქაელი ძველ გველეშაპთან იბრძვის, იესო ნათანაელს გაღებულ ცას უცხადებს: კოსმიური ბრძოლა პირად შეხვედრას ერთვის. კაცის ძე არის კიბე ცასა და დედამიწას შორის, სადაც ანგელოზები ადიან და ჩადიან. მიქაელი იცავს ამ ჭეშმარიტებას: ღმერთი ახლოვდება, ხელის ერთი გაწვდენა მანძილზეა, ჩვენთან და ჩვენთვის მყოფი.

30 სექტემბერი

ოთხშაბათი

2026

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. იერონიმე, ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +420
ბეთლემში, (მ), თ

იობ 9,1-12.14-16; ფს 87; ლკ 9,57-62

შერჩი ჯ აუჯუ ღმერთის სასუფეველი ლკ 9,60

იესო ეუბნება ამას მოწაფეს, რომელიც მას გაჰყვებოდა მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ მისი მამაც ელოდება ღმერთის სასუფეველს, და მის გარეშე მისი ცხოვრება არ იქნებოდა სრული. თუ რაიმე გადაუდებელია და ღირს ყურადღებად, ეს არ არის სიკვდილი, არამედ სიცოცხლე, და სრული სიცოცხლე, საუკუნო. ის უნდა გაჟღერდეს დაგვიანების გარეშე.